

FOLK FESTIVALS AND RITUALS OF THE GUDAMAKARI GORGE AS REFLECTED IN THE STORIES OF GODERDZI CHOKHELI

გუდამაყრის ხეობაში გავრცელებული სახალხო დღესასწაულები და რიტუალები
გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით

GIORGI KHORBALADZE

PhD in Philology,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. First and foremost, it should be noted that within the scope of our scholarly research, we have examined a range of compelling trends in the literary works of Goderdzi Chokheli. However, the subject addressed in this particular essay diverges fundamentally in both its essence and scholarly significance. Whereas our previous studies primarily explored textual interpretation and followed a literary-critical trajectory, the present work assumes far greater importance within the realm of ethnological inquiry.

It is well established that Goderdzi Chokheli's literary and artistic works are deeply rooted in the life and customs of the Gudamakari Gorge. Much of his writing draws upon factual material and is enriched with autobiographical elements. For Chokheli, the Gudamakari Gorge is not merely a setting, but a living manuscript awaiting interpretation. Through his texts, he endeavors to resurrect the ethnocultural characteristics of his native region (traits that, with the passage of time, risk fading into the mist of forgetfulness), thus preserving them within the enduring medium of literature.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. თავდაპირველადვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის ფარგლებში არაერთი საინტერესო ტენდენცია გვაქვს შესწავლილი გოდერძი ჩოხელის მხატვრულ შემოქმედებაში, თუმცა საკითხი, რომელიც წინამდებარე ნარკვევშია წარმოდგენილი, ერთობ განსხვავებულია თავისი არსითა და მნიშვნელობით. ვგულისხმობთ

იმას, რომ ჩვენი ადრინდელი კვლევები უმთავრესად ტექსტის ინტერპრეტაციის ნიმუშებს და ლიტერატურათმცოდნეობით ხაზს აწვითარებენ, წინამდებარე ნაშრომი კი, გაცილებით უფო მნიშვნელოვანია ეთნოლოგიის მიმართულებით.

არაბალია, რომ გოდერძი ჩოხელი საკუთარ შემოქმედებასა და მხატვრულ სიუჟეტებში, ძირითადად გუდამაყრის ხეობის ყოფა-ცხოვრებას ასახავს, შესაბამისად, ბევრი რამ მის ტექსტებში ფაქტობრივ მასალასა და ავტობიოგრაფიულ შტრიხებზეა დაფუძნებული. მწერლისთვის თავად გუდამაყრის ხეობაც წიგნია, რომელსაც წაკითხვა სჭირდება და ცდილობს კიდევ მისი მხარისათვის დამახასიათებელი ეთნო-კულტურული თავისებურებები (რომელიც დროთა დინების პარალელურად დავიწყების ბურუსში ეხვევა) ლიტერატურულ ტექსტებში გააცოცხლოს.

საკვანძო სიტყვები. გოდერძი ჩოხელი, სახალხო დღესასწაული, რიტუალი, გუდამაყრის ხეობა.

შესავალი. დღეისათვის, ვიდრე კიდევ არიან შემორჩენილი ადამიანები, ვისაც მთიან სოფლებში გავრცელებული რიტუალები ახსოვს, შესაძლოა სრულყოფილად არ ხდებოდეს გასიგრძეგანება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამომავლო პერსპექტივაში, ამა თუ იმ რიტუალისა და დღესასწაულის დეტალური აღწერილობის წერილობითი ფორმით დოკუმენტირება, თუმცა ვფიქრობთ, რომ ისევე, როგორც უძველესი ქართული ლიტერატურული ტექსტები ეხმარებიან ისტორიოგრაფიას ისტორიული მეხსიერების ზოგიერთი ბუნდოვანი მონაკვეთის შევსებაში, წლების შემდგომ ასეთივე ძვირფასი შეიძლება აღმოჩნდეს ამდენი სახის რიტუალისა და დღესასწაულის შესახებ საკმაოდ დეტალიზებული ინფორმაცია, რომელიც ჩვენი აზრით სწორედ ამ პერსპექტივის გააზრებით, სრულიად მიზანმიმართულად აქვს წარმოდგენილი მწერალს ამა თუ იმ ნაწარმოებში.

გარდა იმისა რომ, კონკრეტული რიტუალების აღწერა გვაქვს, ამდაგვარი სიუჟეტების გაერთიანებული აღქმით, ასევე ნათელი ეფინება გუდამაყრელთა ეთნო-კულტურული ყოფის თავისებურებებსა, სოციალურ მდგომარეობასა თუ სულიერ-ღირებულებით აზროვნებას.

მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შედარებით-ისტორიული ანალიზისა და კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. იმისათვის რომ ჩვენი მსჯელობა იყოს შედეგზე კონცენტრირებული და ამასთანავე მეტად გასაგები, კონკრეტული მაგალითების კვალდაკვალ განვავრცობთ მსჯელობას.

დავიწყით ქორწილის აღნიშვნის თავისებურების დაკვირვებით. მოთხრობაში „დევების ნასოფლარი“ აღწერილია ქორწილი, სადაც მთიულეთ-გუდამაყარში გამართული ქორწილის გარკვეული რიტუალური განსხვავება სხვა კუთხის ანალოგიურ პროცესთან სრულიად აშკარად იკვეთება: „როცა ქორწილი იყო, მოვიდოდა ნეფიონი, ეჯიბი და მისი მაყრები წესის

მიხედვით შელაგდებოდნენ დარბაზში, ნეფე-დედოფალთან ერთად კერიის გარშემო ტრიალებდნენ სიმღერით.

– მარჯვნივ მხარესაო და
მარჯვნივ მხარესააა,
შენ დასწერ ჯვარსაო და
შენ დასწერ ჯვარსააა
ამ ჩვენს ნეფესაო და
ჩვენს დედოფალსაა!

... ეს მაშინ ხდებოდა, როცა მთიულეთ-გუდამაყარსა და ფშავ-ხევსურეთში ჯერ კიდევ არ იყო ნასახლარები და ნეფიონიც ყოველ შაბათ-კვირას ადიოდ-ჩადიოდა ვიწრო ბილიკებზე“ (ჩოხელი, 2008, 79). გარდა იმისა, რომ რიტუალური თავისებურებაა ხაზგასმული დამოწმებულ ციტატაში, ციტატის დასკვნით ნაწილში სრულიად აშკარაა, თვითმხილველად მოქმედებს, რაზეც ზემოთ ვამახვილებდით ყურადღებას. მწერალი სევდიანად აღნიშნავს, რომ ეს რიტუალი იმ დროისაა, როცა მთაში ხალხი ცხოვრობდა, ხოლო რადგან მოგვიანებით სახლები ნასახლარებად იქცა, ბუნებრივია, რიტუალებსაც დავიწყება დაემუქრა და მწერალიც, როგორც საკუთარი ტრადიციების ქომაგი, ცდილობს დავიწყებას გამოსტაცოს ყველაფერი, რაც დასავიწყებლად არ ემეტება, ამ შემთხვევაში კი, მთის ტრადიციული დღესასწაულები და რიტუალები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მთიელთა რწმენა-წარმოდგენების სპეციფიურობა. იმავე მოთხრობაში აღწერილია როგორი ლოცვა უნდა ეთქვა გუდამაყარელს, თუ მას დევი შეხვდებოდა:

„წინდა მეცვა ხეშისაო,
ქალამანი მეშისაო,
წმინდა გიორგიმ დასწყველოს

ემშაკების ფეხისაო“ (ჩოხელი, 2008, 82). ეს მცირე შელოცვა, ამასთანავე საკმაოდ იმფორმატიულია და ეთნოლოგიურ ყოფა-ცხოვრებასა და ადამიანთა წარმოდგენებზე გვაწვდის მეტად საინტერესო ინფორმაციას. ფაქტია, რომ გუდამაყარელთა წარმოდგენებში, ზღაპრული დევი, რეალურ არსებად არის აღიარებული; გარდა ამისა, დევი, რომელიც ქართულ ხალხურ ზღაპრებში უფროოდენ გულუბრყვილო და ზოგჯერ კომიკურ პერსონაჟადაც გვევლინება, მთაში განსაკუთრებით საშიშ და ეშმაკულ არსებადაა მიჩნეული, რომელთან შეყრაც ნებისმიერ მომენტში მოსალოდნელად წარმოუდგენიათ გუდამაყარელებს და შესაბამისი თავდაცვითი ლოცვებიც შეუთხზავთ.

უთუოდ უნდა გავიხსენოთ, საყოველთაო სახალხო დღესასწაული ახალი წელი, რომელსაც საზეიმო გამოხატვის უამრავი ვერსია გააჩნია მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში, თუმცა გუდამაყარელი საახალწლო რიტუალი მაინც სრულიად ორდინალურია. მოთხრობაში „ხუჭუჭულა“, ვკითხულობთ: „ძველებურ სახლებში, საახალწლოდ კერას გააჩაღებენ და ასეთ რიტუალს ასრულებენ:

კერასთან დევს დიდი ხის მორი, რომლის თავსაც ერბოს წაუსმევენ და ცეცხლში შეურთავენ. ოჯახის წევრები ამ მორზე გადასხდებიან და წინ მჯდომარე ცხენივით შეიხვიხვინებს; თან დაიძახებს:

– ბებერაი მობრძანდება! (ვითომ ძველი წელი).

_ ბებერაი რასა ბრძანებს? _ ეკითხებიან.

_ ბედსა, ბედნიერობასა,

პურსა, პურიანობასა,

ვაჟსა, ვაჟიანობასა,

წულსა, წულიანობასა,

ოჯახის კარგად ყოფნასა,

ოჯახის ბარაქიანობასა! _ პასუხობს მორის თავზე მჯდომარე და თან მორის ცეცხლმოდებულ თავზე ჯოხს ურტყამს, რომ ნაპერწკლები გაყაროს“ (ჩოხელი, 2008, 164). აღნიშნული რიტუალის შესახებ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ არსებობს თუ არა სხვა ცნობები, თუმცა ზოგადად, ვფიქრობთ, რომ ექსპედიციით დროებით მივლინებულ მკვლევარსა თუ მკვლევართა ჯგუფს, შეუძლებელია ხელეწიფებოდეს მსგავსი ნიუანსობრივი სიზუსტით აღწეროს და განმარტოს ის ყოველივე რაც მწერლის შემოქმედებაშია ასახული პროცედურებისა თუ შელოცვების სახით, რამდენადაც, მწერლისთვის ეს რიტუალები მშობლიურია და ახლობელი, შესაბამისად, ისე აქვს წარმოდგენილი ნაწარმოებში რომ მხატვრული ტექსტები უდაოდ ფასეულია ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა რომ გუდამაყრელთა ახალ წელზე მიგებების ჩვეულება საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურება ზემოთ დამოწმებულ ციტატაში, საინტერესოა, რომ რიტუალი ამით არ შემოიფარგლება და მას გაგრძელებაც აქვს, რომელსაც ასევე სრულყოფილად ხატავს მწერალი: „ამის მერე მამაკაცები ხატში მიდიან, რომ იქ შეხვდნენ ახალ წელს და ყველას იმდენი ადლი სანთელი მიაქვს, რამდენი მამაკაციც არის მათ ოჯახში.

... ხვალ დილით, ხატში წასული მამა კარებს შემოადებს, ოთახში თოვლს შემოყრის, მერე თვითონაც შინ შემოვა და ყველას თეთრ თოვლს აყრის სახეზე.

_ ასე თეთრად დამიბერდით!

_ ეგრევ შენა! ეგრევ შენა! _ პასუხობენ მას.

...ყველანი სუფრას მიუსხდნენ, სადაც თავლთან და სხვა ტკბილეულთან ერთად თავ-თავიანთ სახელზე გამომცხვარი ბედისკვერიც უნდა ჭამონ.

ბედისკვერს ყველას სახელზე აცხობენ და ვისი კვერიც კარგად ამოფუცდება და კარგად გამოცხვება, იმას ბედნიერი წელიწადი ელოდება წინ.

საქონლის სახელობაზეც აცხობენ ბედისკვერს. კვერებს ზემოდან ჯვარი აქვს გამოსახული...

... ..ყველა ოჯახმა უნდა შემოინახოს საახალწლოდ გამომცხვარი ოჯახის ბედისკვერი. ამ ბედისკვერს ძალიან უფრთხილდებიან, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. **წუნკლაობა დღეს** (ხაზი ჩვენია, გ.ხ.), ამ ბედისკვერმა უნდა ამცნოს ოჯახს, როგორ წავა მათი ბედი წლის განმავლობაში“ (<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ჩოხის მოსახლეობის წარმოდგენები დიდწილად წარმართულ წარმოდგენებზეა დაფუძნებული, მასში ორგანულად არის შერწყმული ქრისტიანულიც, რაც ბუნებრივია - ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ამდენად, მთის მოსახლეობაში პრაქტიკულად, თანამედროვე პერიოდადმდე გადმოყოლილი რწმენის აბსოლუტურად ორიგინალური მიმდინარეობა, რომელიც წარმართულისა და ქრისტიანობის სინთეზიდან არის ფორმირებული და ფაქტობრივად მქლავნდება ყოველ ადგილობრივ საყოფაცხოვრებო ჩვეულებასა თუ სადღესასწაულო რიტუალში.

განსაკუთრებით არის საყურადღებო, რომ არა მხოლოდ საერო ცხოვრებაში, უშუალოდ სასულიერო ლიტურგიებშიც კი აშკარად არის შეღწეული წარმართულის გადმონაშთები, თუმცა გარკვეული დამახასიათებელი განსხვავებით. ჩვენი დაკვირვებით წარმართულ-

ქრისტიანულის ასეთი ურთიერთმიმართება იკვეთება. საერო რიტუალებში წარმართულზეა დაფუძნებული ქრისტიანული, ხოლო სასულიეროს შემთხვევაში, პირიქით, ქრისტიანულზე - წარმართული, ანუ ძირეული და ფუნდამენტურია ერთ-ერთი მათგანი მეორე კი ერთგვარი შემავსებელი. გოდერძი ჩოხელის აღწერის შესაბამისად: „...ხატში მთელი დღე ზარებს რეკავდნენ დასტურ-დეკანოზნი. ისინიც თავის წესზე შეხვდნენ ახალი წლის დადგომას: დილაუთენია არაგვზე ჩავიდნენ, გაყინულ მდინარეში იბანავეს და სიმღერით წამოვიდნენ ხატისკენ:

წმინდის გიორგის კარზედა

ხე აღვად ამოსულიყო,

თავში დაესხა ყურძენი

საჭმელად

ჩამოსულიყო....“

(<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>).

გასაგებია, რომ დილაუთენია არაგვზე ბანაობა მდინარე იორდანეს და ნათლისღების რიტუალის ალუზიურია და შესაბამისად, საფუძველიც ბიბლიურია, თუმცა, თავად ახალი წელი არ მოიაზრება ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის და ლოცვის ჩანაცვლებაც მითოლოგიური ელფერის ხალხური ლექსებით რა თქმა უნდა, თან ეფუძნება რელიგიურ რიტუალს და რადიკალურად განსხვავდება კიდევ ამავედროულად.

ახალი წლის შეხვედრის წესს, ასევე ასახავს მწერალი მოთხრობაში „უძლეველი მეომრები“ და თითქოს სრულყოფს ამ დღის აღნიშვნის წეს-ჩვეულებათა შესახებ, რამდენადაც, თუ წინა შემთხვევაში, სასულიერო პირების მოქმედებებზე იყო ყურადღება გამახვილებული, აქ უკვე საერო პირთა როლი და პროცესში ჩართულობა უჩვენებია ავტორს: „ახალ წელს, წესის მიხედვით, ჩოხის წმინდა გიორგის დარბაზში შეხვდნენ ჩოხელები და როცა შუაღამე დადგა, ხევისბერმა ბრძანება გასცა:

– მოკრიფეთ სანთლები!

დასტურებმა ხალხს ჩამოუარეს და ყველამ იმდენი ადლი სანთელი მისცა მათ, რამდენი მამაკაციც იმყოფებოდა მათ ოჯახში. ქალების სახელზე სანთლებს არ კრებენ, ოდითგანვე ასე მოდის ეს წესი და ასეა ამ დამესაც. ქალები სახლებში ელოდებიან მამაკაცებს და იქ უმზადებენ სადღესასწაულო სუფრებს. მამაკაცებმა კი ჯერ აქ უნდა დაკლან ხატისათვის შესაწირი ბატკანი.

... ხატის დასტურები სანთლების შეკრებას მორჩნენ, ხევისბერმა დარბაზის კუთხეში მიყუდებული დროშა გარეთ გამოიტანა, ტარით თოვლში ჩაარჭო, დასტურებს ერთად შეკრული სანთლები ჩამოართვა, აანთო და ლოცვას შეუდგა“ (<https://www.aura.ge/103-saskolo/17187-goderdzi-choxeli--udzleveli-meomrebi.html>). ძირითადი პრინციპი ამ შემთხვევაშიც უცვლელია, სინთეზი წარმართული გადმონაშთისა და ქრისტიანული კულტურისა, რომელიც ძალზე უცნაურ ჩვეულებათა რეალიზებული.

ზემოთ დამოწმებულ ერთ ციტატაში ხაზგასმა გავუკეთეთ „წუნკლაობა დღის“ ხსენებას. მსგავსი ტერმინი ნაკლებად არის ცნობილი საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენელთათვის. ჩვენ მხოლოდ ივანე ქეშიკაშვილის წიგნში („ღმერთები, მითები, რიტუალები“) მოვიძიეთ ეს ტერმინი, სადაც წუნკლაობის შესახებ მხოლოდ ორიოდე წინადადებას ვკითხულობთ: „წუნკლაობა მთიულეთში წალკურთხევის წინა დღეა. მასზეა

ნათქვამი: „ენკენია უკანაო, წყალკურთხევა წინადღეო, იმის მეტად არ იქმევა. როგორც ძალი წუნკალაო“ (ქემიკაშვილი, 1990: 133). გოდერძი ჩოხელი კი სრულყოფილად აღწერს დღესასწაულის არსსა და რიტუალურ თანმიმდევრობას. როგორც ჩანს, მთაში „წყალკურთხევის“ ანუ ნათლისღების დღეს დამატებული აქვს წარმართული, კერძოდ „ჭიაკოკონობის“ უძველესი ქართული რიტუალი. ჩვენი აზრით, „წუნკალაობა“ და „ჭიაკოკონობა“ იმთავითვე მონათესავე რიტუალებს წარმოადგენენ, რაზეც მათი სახელწოდებები მიგვანიშნებენ უპირველესად, ამასთანავე, სავარაუდოა რომ, მთიელმა კაცმა ორი სტიქია - წყალი და ცეცხლი ერთმანეთს დააკავშირა და მათი რიტუალური თანაარსებობით შექმნა ახალი სარიტუალო დღე - „წუნკალაობა“. ვნახოთ რას აკეთებდნენ ამ დღეს ჩოხში, გოდერძი ჩოხელის მოთხრობის მიხედვით: „დადგა წუნკალაობაც. დაანთეს ჭიაკოკონები.

ხუჭუჭულას მამამ ოჯახის ბედისკვერი საცერში ჩადო, საცერი მხარზე შემოიღდა, წელში მოიხარა და ცეცხლს შემოუარა სამჯერ გარშემო. ისე იყო მოხრილი, თითქოს საცერში ჩადებული პური ძალიან ამძიმებდა; უვლიდა ცეცხლს და თან კიოდა:

– მიშველეთ, მომეშველენით, კეთილმა წელი მომწყვიტა!

...სახლისაკენ წაიღო საცერში ჩადებული ბედისკვერი, კარებთან დაიჩოქა, საცერი ძირს ჩამოდგა, იქიდან კვერი ამოიღო და სამჯერ შეაგორა სახლში.

ყველანი გულისფანცქალით ადევნებდნენ ამ სცენას თვალ-ყურს, რადგან აქ წყდება ოჯახის წლებანდელი ბედი: თუ სახლში შეგორებული კვერი ისე გაჩერდება, რომ მასზე გამოსახული ჯვარი ზემოთ მოექცევა, მაშინ საშიში არაფერია, მაგრამ თუ კვერი გულაღმა დაეცემა და ჯვარიც ქვეშ მოყვება, რაღაც უბედურება დაატყდება ოჯახს“ (<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>). აღწერილი პროცესი ნათლად უჩვენებს თუ როგორ ზიგზაგურად არის ყოველი მომდევნო და წინა ქმედება ურთიერთგარდამავალი წარმართულიდან ქრისტიანულისაკენ და პირიქით. ვფიქრობთ, ბედისკვერიც ქრისტიანობის შემდგომი პერიოდიდან უნდა ჩამატებოდა წარმართულ სარიტუალო არსენალს და იგი სეფისკვერის ანალოგიაზე უნდა გახლდეთ დაფუძნებული. ცეცხლზე შემოვლა რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის ხანიდან მომდინარე გადმონაშთია ბუნებრივია, თუმცა, იქვე სამჯერ შემოვლა სამებას განასახიერებს და ამ შემთხვევაშიც წარმართულ-ქრისტიანულ მიქცევა-მოქცევასთან გვაქვს საქმე. ფინალისაკენ, კვლავ მართმადიდებლური ლიტურგიისთვის დამახასიათებელ პროცესს უახლოვდება მწერლის აღწერილი სიუჟეტი, კვერის სამჯერ სახლში შეგორებაც ისევ სამებას მიანიშნებს და ამასთანავე, ჯვარის გამოსახულებით, ჯვრის სიმბოლიკაზე აქცენტირებით მთავრდება პროცედურა, მიუხედავად იმისა, რომ სრული რიტუალი მთლიანად რწმენასა და ცრურწმენის ურთიერთშეპირისპირებაზეა აგებული.

თავად „წყალკურთხევის“ დღესთან დაკავშირებით, ინფორმაციას შეხვდებით მოთხრობაში „ვარდისფერი კაცი“, სადაც მწერალი ასეთ რამეს ათქმევინებს პერსონაჟს: „იმ დილით წყალკურთხევა იყო. მკვდრების დღე. დილაუთენია გავიდა ხალხი არაგვზე. დაუნთეს სანთლები მიცვალებულის სულებს და წყალი აკურთხეს. თუნგებსა და თულუხებს ავსებდნენ და თოვლში ღვრიდნენ. ციოდა და ჟიპიტაურს აძალებდნენ ერთურთს. დიდი და პატარა წყალსა ღვრიდა. სანთლები ლიცლიცებდნენ ხინკლიან ხონჩებზე“ (ჩოხელი, 1989: 88). სწორედ

ეს რიტუალი აგრძელებდა წინა დღის - „წუნკლაობის“ რიტუალებს, ამდენად, მწერლის შემოქმედება იძლევა საშუალებას თითქმის სრულყოფილად და დეტალურად იქნას აღნუსხული რიტუალები, დღეასწაულები და მათი თანმიმდევრობა.

კონკრეტულად რელიგიური დღესასწაულებით მიმართებითაც თავისებური აღქმა აქვთ გუდამაყრელებს. უნდა ითქვას, რომ ასეთი სისტემურად იმავე პერიოდის ბარში არ ხდებოდა საყოველთაო აღსრულება ამა თუ იმ წესისა. დავუკვირდეთ როგორ არის მოთხრობაში „ხუჭუჭულა“ აღწერილი მარხვის, კერძოდ კი დიდმარხვისა და მისი წინა პერიოდის შესახებ: „დიდმარხვა მოახლოვდა. დადგა ყველიერის კვირა. მთელი სოფელი ამ კვირას ყველის ჭამას ეშურება. აცხოვენ ხაბისგინებს, ხარშავენ ყველის ხინკალს და რომელ ოჯახშიც არ უნდა მიხვიდე, ყველგან ნაირ-ნაირი ყველით გიმასპინძლებიან.

...რაკი დიდმარხვაში ყველის ჭამა არ შეიძლება, ამ ერთი კვირის განმავლობაში წინასწარ იკლავენ წადილს“ (ჩოხელი, <https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>). ყველიერის შემდგომ „შურის კვირას“ აღნუსხავენ ჩოხელები, თითქოს სამარხვო დღეები აქაც მართმადიდებური კალენდრის ქრონოლოგიითაა აღბეჭდილი, თუმცა ხან სახელდებელია უცნაური და ხან წესია გადასხვაფერებული: „...ჩათავდა ყველიერი და დადგა შურის კვირა. ახლა ხორცის ჭამას ეშურება მთელი სოფელი. ყველის ხინკლები ხორცისამ შეცვალა.

ხუთშაბათს დათვქადაობაა. ცხრაქერქა ქადებს აცხოვენ. მიდიან ხატში.

პარასკევს ჟამთ უქმეა, ხელს არავინ არაფრისთვის არ გაანძრევს. ეს მიმე უქმეა. შაბათი ხორცის შაბათია, ხორცის ხინკალს ხარშავენ და მიცვალებულებს შენდობას ეუბნებიან“ (<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>). შაბათის შემდგომ დიდმარხვის საფუზველზე დაყრდნობილი ჩვეულებანი რადიკალურად გარდაისახება წარმართულ რიტუალებში, რასაც უკვე აღარავითარი კავშირი არ აქვს მართმადიდებლურ კალენდართან და წესებთან, თუმცა საინტერესო ის არის, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ესეც რელიგიური დღესასწაულის გაგრძელებად აღიქმება და ქრისტიანული რწმენის შეგნებით ხდება მისი აღსრულებაც: „...გათენდა კვირა – აბრამმოლობა.

ამ დღეს უკანასკნელად სჭამენ ხორცს.

გამოხრულ ძვლებს წითელი ძაფით შეკრავენ, გარეთ გამოვლენ, ძვლებს ძველებურ, მაღალ ბანზე შეაგდებენ და მანამ ძვლები ბანზე დაეცემა, შემგდები სამჯერ უნდა შეხტეს ჰაერში. თან ზემოთ ბანზე მყოფ ვიღაც უჩინარს შესძახიან:

– აბრამმოლ, ველის ნადირო, წელს ამას დაგვჯერდი, კვლავ სხვას მოგართმევთ!“ (<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>). მწერალი ასევე განმარტავს რომ ამ რიტუალის შესაბამისად, გუდამაყრელებს სჯერათ, რომ "აბრამმოლ ველის ნადირს" შეწირეს ძვლები, შემდგომ კი მოხარდ ბიჭებს შორის წილი იყრება და ვისაც წილისყრის შედეგად მოუწევს მან, აბრამმოლობის მეორე დღეს, დილით ადრე, სოფლის გაღვიძებამდე უნდა მოახერხოთ გამოუხრავი ცხვრის ბეჭის ჩამოტანა ბანიდან. ამ ბეჭის ბანზე შეგდების მთავარი მოტივი კი, იმაში მდგომარეობს რომ რიგრიგობით გამოსცადონ სოფლის ბიჭები გამბედაობასა და ვაჟკაცობაში. აქედან გამომდინარე ცხადია თუ როგორი საშიშად აღიქმება

„ველის ნადირი აბრამმოლისათვის“ ბეჭის გამოტაცება და რამხელა რწმენით უდგება სოფელი ამ უცნაურ მსხვრპლშეწირვას. ამასთანავე, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს წარმართული რიტუალი კვლავ ქრისტიანულთანაა სინთეზირებული და როგორც გოდერძი ჩოხელი წერს, სწორედ ბეჭის ბანიდან ჩამოტანით იწყება მარხვა.

მეტად უცნაურია ჩოხში დამკვიდრებული ორსული ქალის მოლოგინების წესი, აღნიშნულთან დაკავშირებით, გოდერძი ჩოხელი იხსენებს, მემუარულ ჩანაწერებშიც, ინტერვიუებშიც და რამდენიმე მხატვრულ ნაწარმოებშიც, თუმცა ამ საოცარ წესს ასევე საოცარი განგრძობა ჰქონია; მაგალითად, მოთხრობაში „ლთიშვილი“, ზოსიმეს ახალშობილობის პერიოდს ასე ასახავს მწერალი: „ორმოცი დღე, თავის სოფელში, დედ-მამის სახლის განაპირა პატარა ოთახში ცხოვრობდა ზოსიმეს დედა.

მერე ქმრის სოფელში დაბრუნდა.

სათემო გორაზე სამხთო გადაიხადა ზოსიმეს მამამ.

დიდი, თეთრი ხარი დაკლეს და ხატში გარიეს გვარში შემომატებული პატარა ბიჭი. სამჯერ გამოაგორა ხევისბერმა ხატის გორაზე. მერე საამდლეოდ გამომცხვარი გადმოყარა და დაიძახა:

- ჩოხის წმინდა გიორგი სწყალობდეს ზოსიმეს

- სწყალობდეს! სწყალობდეს! - დაიძახა ქვემოთ მდგარმა ხალხმა!“

(<https://scroll.ge/30998/goderdzi-chokheli-khthishvili/>). პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, ამ რიტუალის საწყისი ისევ ქრისტიანულიდან იღებს სათავეს. ჩოხში, მშობიარე ქალის მოლოგინება სწორედ ჩოხის წმინდა გიორგის საპატივსაცემოდ ყოფილა აკრძალული. თუმცა, მშობიარე ქალის ასეთი უცნაური გაძევება, რომ ქრისტიანულ მრწამსთან არაფერ შუაშია ესევ ნათელია და უდავო.

როგორც აღვნიშნეთ, დიდ ინტერესს აღძრავს აგრეთვე, დედისა და ახალშობილის სოფლად დაბრუნების შემდგომი რიტუალებიც. დამოწმებული ციტატის მიხედვით, ახალშობილს წმინდა გიორგის ავედრებენ, მისი ხატისგორაზე სამგზის გამოგორებაც სამების თავისებური თაყვანისცემაა, რის შემდეგაც ისევ უცნაური რიტუალები ჩაუშენებიათ გუდამაყრელებს. „ხევისბერის მიერ გადმოყრილ აშალს (პატარა მრგვალი კვერებია) მიესივნენ ასაკრებად. ჟივილ-ხივილით ერთმანეთს ასწრებდნენ აშალის აკრეფას. მერე კი, იმავე გორაზე, სადაც ზოსიმე გამოაგორეს, სამანთან ერთი აშალი-კვერი ჩადგეს სამიზნედ, თვითონ ქვემოთ გამწკრივდნენ და დაიწყეს მიზანში სროლა. სამიზნეს ასეთივე აშალ-კვერებს ესროდნენ და თან ხმამაღლა გაჰკიოდნენ:

– სწყალობდეს ზოსიმეს!

– სწყალობდეს ზოსიმეს!“ (<https://scroll.ge/30998/goderdzi-chokheli-khthishvili/>) და ამ უცნაურ რიტუალსაც ქრისტიანული სიმბოლოებით ჰქონია გაგრძელება; პროცესის დასასრულისკენ, ხევისბერს ხარის სისხლით ჯვარი უნდა გამოესახა ახალშობილისათვის, ხატის დასტურს სამრეკლოზე ზარები უნდა დაერეკა, რა დროსაც: „ერთად შეკრული უამრავი სანთელი ეჭირა ხელში ხევისბერს და ღმერთს ადიდებდა. ზოსიმეს კარგ ბედ-იღბალს ევედრებოდა დამბადებელს. მისი თხოვნა მთელი გვარის თხოვნა იყო ღვთის წინაშე. ეს ერთად შეკრული სანთლებიც ამის დასტური იყო; ყველამ თავისი სანთელი მიართვა ხევისბერს ზოსიმეს დასამწყალობლებნად. სანთლების ერთად შეკვრაც, გვარის ერთად ყოფნას, ერთად წვას ნიშნავდა“ (ჩოხელი, <https://scroll.ge/30998/goderdzi-chokheli-khthishvili/>) - განმარტავს მწერალი. ასევე, განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიუანსია ისიც, რომ „ქალებს ხატის

ახლოს არ უშვებენ“, რასაც საფუძვლად უდევს ბიბლიური ევას ქმედება, რომელმაც ადამი აცდუნა და მაშასადამე, ხატის სიახლოვეს არ მიშვება, ეთგვარ სასჯელად დაუწესებიათ ჩოხში.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, კიდევ არაერთი უცნაური და განსხვავებული რიტუალის აღწერას შეხვდება მკითხველი, თითოეული მათგანი კი, ასევე უცნაურ რწმენა-წარმოდგენას ეფუძვნება. მაგალითად, აშკარაა, რომ ზოგჯერ სრულიად ზღაპრულ და მითოსურ ამბავს გუდამაყრელები სრული სერიოზულობითა და ურყევი დამაჯერებლობით უდგებოდნენ. ამ კონტექსტში, ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი დევის შელოცვასთან დაკავშირებით, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი წარმოდგენების შესახებ შეგვიძლია მოვიძიოთ სხვა ცნობებიც, თუ მწერლის შემოქმედებას ყურადღებით ჩავუღრმავდებით. მოთხრობაში „გუგული“ როგორც სათაურიდანვე ხდება საცნაური, საუბარია ჩვეულებრივი ფრინველის - გუგულის უცნაურ შესაძლებლობებზე, უფრო სწორედ, მისი მეშვეობით ადამიანისათვის გარკვეული სარგებლის მიღების შესაძლებლობაზე, თანაც რაც ყველაზე მთავარია ერთგვარი შელოცვის გზით. პერსონაჟი, რომელიც ცალსახად ავტორის ალტერ ეგოა, იხსენებს მისი ბავშვობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ოცნებას, რომელიც პრაქტიკულად სხვა მისი თანატოლების ოცნებაც ყოფილა, როგორც კონტექსტიდან ირკვევა: „ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვევრებინა ძახილით:

- გუგულო, ღალა მოგპარე!
- გუგულო, ღალა მოგპარე!
- გუგულო, ღალა მოგპარე!

თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა“ (ჩოხელი, 1986: 141). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე წარმოდგენაზე სხვაგანაც, კერძოდ, მოთხრობაში „გუგულის ღალა“ - ზუსტად ანალოგიური ემოციით იხსენებს მწერალი.

ამ კონტექსტში, მკითხველს ასევე შევახსენებდით მოთხრობას „ჩემი წიგნი“, რომელშიც, „თაგვების დღესასწაულია“ აღწერილი. გოდერძი ჩოხელი წერს, რომ წელიწადში ერთხელ, თაგვების დღესასწაულს აღნიშნავენ გუდამაყრელები და მთიულები. ამ დღეს თურმე ყოველი ოჯახი აკეთებს ხის თაგვს, რაც რეალურად „სწორი ჯოხია, შუაზე გაპოხილი ერთი ბოლოთი, რომელშიც თივა ან ჩალაა გარჭობილი თაგვის ულვაშივით“ (ჩოხელი, 1989: 6). მთიული ქალბატონები ხის თაგვებს ჯერ საკუთარ სახლებში შემოატარებენ, თან „თაგვს ურტყამენ და გაჰკივიან:

გამო თაგვო, გამო რწყილო,

ანგელოზო შინ დაბრძანდი!“ (ჩოხელი, 1989: 6).

შემდგომ კი სახლებიდან გამოდიან და უკანმოუხედავად, გადასაყრელად მიაბრუნებენ ხის თაგვებს ჩაჭრილის მთისკენ. როგორც ავტორი აღწერს, მიუხედავად იმისა რომ ქალებს ქმრები ეძახიან, ამ დროს მათ უკან არ უნდა მიიხედონ, თორემ თაგვები ისევ მათ ხეობაში დარჩებიან... ამ რიტუალს „თაგვების გამორეკვა ჰქვიაო“ - მოგვითხრობს მწერალი.

ეს მოთხრობა ორ ნაწილად დაუყვია მწერალს, პირველი დაუსათაურებია როგორც „თაგვობა“, მეორე ეპიზოდისთვის კი „ჩიტთა ფაფაობა“ დაურქმევია, ორივე ნაწილში, მიუხედავად იმისა რომ ერთი საერთო სათაურის ქვეშ არის მოქცეული, ინდივიდუალური და

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რიტუალებია აღწერილი, თუმცა მწერალს ისინი მიზანმიმართულად დაუწყვილებია, რაც იმაზე მეტყველებს რომ მთიულეთ-გუდამაყარში არსებული რიტუალების დეტალური აღნუსხვა, ნამდვილად წარმოადგენს მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. ამასთანავე, იკვეთება ამ ორი ნაწილის დაწყვილების სხვა ნიშანიც, რომლის მიხედვითაც მთიულებისა და გუდამაყრელების თანაცხოვრების ზოგიერთ თავისებურებაა ნაჩვენები. ჩიტთა ფაფობა, თურმე ჩიტების გამო დაწესებული უქმე დღე ყოფილა გუდამაყარში. ამ უქმე დღის მოტივი კი, თურმე ის გახლდათ, რომ - „რომ ჩიტებმა ყანები არ გაუკენკონ“ ადგილობრივ მოსახლეობას. ყურადღება გავამახვილოთ, რომ მოთხრობის პირველ ნაწილში აღწერილი რიტუალის შესრულებისას, თავგებს მთიულები მთიულეთიდან იშორებდნენ და გუდამაყარში რეკავდნენ, „ჩიტთა ფაფობაში“ (მეორე ნაწილი) კი ასეთ რამეს ვკითხულობთ: „მთიული დედაკაცები ჩუმად გადმოიპარნენ მთაზე, გუდამაყრელების ადგილში დასხდნენ და დაიწყეს წინდების ქსოვა.

... იმიტომ ჰქსოვენ გუდამაყრელების ადგილში წინდებს, რომ ნათქვამია: ვისიც დანა, იმის ნანაო.

... ვის ადგილშიც უქმე დღეს იმუშავენ იმას ეთვლება უქმის გატეხად“. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „ჩიტთა ფაფობა“ დაყდრნობილი ყოფილა გუდამაყარში გავრცელებულ ლეგენდაზე, რომელიც ასეთი შინაარსის ყოფილა: გუდამაყრელებს შეუპყრიათ მთიულები. მთელი დღე უშიშრობილიათ, სადამოს ფაფა აუდურებიათ მთიული ქალები გარეთ დაუყენებიათ და ისე ჩაუტარებიათ ჩიტთა ფაფობა. ლეგენდის მიხედვითვე, ამ დროს წინასწარ დარიგებული მშვიერი მთიული ეძახის გარედან: „- გუდამაყრელო რას აკეთებ?

...- ჩიტთა ფაფასა! - გამოსძახის სახლიდან.

- მე კი არ მაჭმევ?
- გაჭმევ მრავალსა.
- ჩემი ჯამი სადა დგას?
- ზემო კერასა.
- მერე შიგნიდან გამოსძახის გუდამაყრელი:
- ჩიტნი ვის ყანასა ჰკენკენ?

მთიულს მეტი გზა არა აქვს და იზახის:

- მთიულებისასა.

გუდამაყრელი გამოეგებება, მთიულს სახლში შეიყვანს და ფაფიან ჯამს დაუდგამს წინ“ (ჩოხელი, 1989: 7-8). ამდენად, ზემოთ აღწერილ ორ რიტუალში, ისევე როგორც თავად ლეგენდაში, ნათლად ჩანს, თუ როგორი შეჯიბრებითობა თუ კონკურენციის განცდა ჰქონიათ

გუდამაყრელებსა და მთიულებს. შესაბამისად, ეს დამოკიდებულება გარკვეულ ლეგენდადამკვიდრებულა და სადღესასწაულო რიტუალებშიც ასახულა.

დასკვნა. წინამდებარე ნაშრომში, გოდერძი ჩოხელის მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაზე დაყრდნობით არის შესწავლილი გუდამაყრის ხეობის სახალხო დღესასწაულები და რიტუალები, რომლებიც, როგორც კვლევაშიც გამოჩნდა, ძალზე ორიგინალური, თვითმყოფადი და მრავლისმეტყველია თავისი შინაარსით. ამდენად, მწერლის შემოქმედების სრული ანალიზი ამ მიმართულებით მეტად საშურ საქმედ მიგვაჩნია. სამწუხაროდ, ერთი სტატიის ფორმატში ვერ შევხეთ გოდერძი ჩოხელი რომანებს, სადაც არანაკლებ მდიდარ ეთნოლოგიურ მასალას შეხვდება მკითხველი და უფრო კომპლექსურ წარმოდგენას შეიქმნის ჩოხელთა ეთნო-კულტურულ ყოფის, მათი წეს-ჩვეულებების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომ სტატიებში შევძლებთ კვლევის განვრცობას და სრულყოფას ამ მეტად საინტერესო საკითხის შესწავლისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ქეშეკაშვილი, ი. (1990). „ღმერთები, მითები, რიტუალები“, თბილისი.

ჩოხელი, გ. (1989). „თევზის წერილები“, თბილისი.

ჩოხელი, გ. (1986). „ადამიანთა სევდა“, თბილისი.

ჩოხელი, გ. (2008). თხზულებები. (II ტ.). თბილისი.

<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>

<https://www.aura.ge/103-saskolo/17187-goderdzi-choxeli--udzleveli-meomrebi.html>

<https://scroll.ge/30998/goderdzi-chokheli-khthishvili>

REFERENCES

Kesheakashvili, I. (1990). "Gods, Myths, Rituals", Tbilisi.

Chokheli, G. (1989). "Fish Letters", Tbilisi.

Chokheli, G. (1986). "Human Sadness", Tbilisi.

Chokheli, G. (2008). Essays. (Vol. II). Tbilisi.

<https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9573.xuchuchula.htm>

<https://www.aura.ge/103-saskolo/17187-goderdzi-choxeli--udzleveli-meomrebi.html>

<https://scroll.ge/30998/goderdzi-chokheli-khthishvili>